ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4018535

ნომერი: AR1604872

თარიღი : 30.05.2018

გაცემის თარიღი : 18.06.2018

გაცნობის თარიღი : 25.06.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ყუშიტაშვილი , N 84;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თემურ ვაშაკიძე პ/ნ 01029006066
- თბილისი მოსკოვის გამზ. N 35 ბ. 6

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: #1612
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 8.11.2010

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლევანი ოქროპირიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს Corso

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406087336
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: თეიმურ ვაშაკიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01029006066

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 740.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 391.1
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 2449.2
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1364.4
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 96.9
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 511.8
- .სარდაფის ფართობი (კვ.მ).: 50.1
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 139.6
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 286.4
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 7748.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 6550.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1198.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 25.9
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 22.9
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.0
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 386.4 მ2 K1=0.5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1735 მ2 K2=2.3
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 121 მ2 K3=0.1

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 981888
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 7.09.2013

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1971999
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 26.06.2017

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1. ვინაიდან შეცვლილია საკადასტრო საზღვრების კონფიგურაცია საჭიროა პირველ რიგში საკითხი დააყენოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანაზე.
2. ვინაიდან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემულია N003205 29.12.2017წ. მითითება სამშენებლო – სამართალდარღვევის საქმეზე, საჭიროა, დამატებით ფაილში ატვირთოთ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დადგენილება სამშენებლო – სამართალდარღვევის საქმეზე და შესაბამისი დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. ნაწარმოები მშენებლობის შესაბამისად განაახლოთ მშენებლობის ორგანიზაციის

პროექტის კალენდარული გრაფიკი (ეტაპების სახით გაწერეთ დარჩენილი სამუშაოები) და არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა.

3. აკრძალულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიწის ნაკვეთის საზღვრებზე ღობის (მესერი, ლითონის ბადე და სხვ.) მოწყობა, თუ ეს განსაზღვრული არ არის თავდაპირველი საპროექტო დოკუმენტაციით. ვინაიდან შეთანხმებულ პროექტში ბრძანება N981888 (07/09/2013) არ იყო ღობე დაპროექტებული აღნიშნული მოიყვანეთ კანონთან შესაბამისობაში.

4. .შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები. -> .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: მიუთითეთ შეთანხმებული პროექტის თარიღი. (წარმოდგენილში რიცხვი და თვე არასწორია)

5. .არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები -> .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : მიუთითეთ შეთანხმებული პროექტის თარიღი. (წარმოდგენილში წელი არასწორია)

6. .საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.: განაახლეთ ტოპოგრაფიული გეგმა, არსებობის შემთხვევაში ხაზოვანი ნაგებობების დატანით; გენერალური გეგმა დაამუშავეთ განახლებული ტოპოგრაფიული გეგმის და საკადასტრო მონაცემების მიხედვით. მასზე დაიტანეთ ბოლო ღერძებს შორის და ბოლო ღერძებიდან საკადასტრო საზღვრებამდე მანძილები.; მასშტაბი მიუთითეთ ფურცლის ფორმატის გათვალისწინებით; გაითვალისწინეთ, რომ დოკუმენტაცია უნდა იყოს ქართული შრიფტით შესრულებული.

7. .საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით.: შეასწორეთ ხარვეზების შესაბამისად.

8. .არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: წარმოადგინეთ არსებული მდგომარეობის ამსახველი განახლებული ფოტოსურათები, თარიღის მითითებით. ფოტოსურათებში უნდა აღიქმებოდეს შენობის ყველა ხედი, ასევე მონიშნეთ კორექტირების ადგილები.

9. .ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: ვექტორულ ფაილში წარმოადგინეთ განაშენიანების საანგარიშო ფართობის საანგარიშო "კროკი".

10. .ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : ვექტორულ ფაილში წარმოადგინეთ კორექტირების ცვლილების გათვალისწინებით დამუშავებული კ1 კოეფიციენტის საანგარიშო "კროკი".

11. .ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : ვექტორულ ფაილში წარმოადგინეთ კორექტირების ცვლილების გათვალისწინებით დამუშავებული კ2 კოეფიციენტის საანგარიშო "კროკი".

12. .ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : ვექტორულ ფაილში წარმოადგინეთ კ3 კოეფიციენტის საანგარიშო "კროკი".

13. .შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.: მიუთითეთ საავტომობილო პანდუსის ნიშნულები, სიგრძე, სიგანე და ორივე გვერდის რადიუსი. აქვე გაითვალისწინეთ კოლექტორიდან ხუთ მეტრიანი შეზღუდვის არეალი; +16.50 ნიშნულზე "ე-დ" და "4-6" მონაკვეთებში საზაფხულო ფართობით ირღვევა სამეზობლო მიჯნა, წარმოადგინეთ შესაბამისი მეზობლების ნოტარიული წესით დამოწმებული თანხმობა საზაფხულო ფართობის მოწყობასთან დაკავშირებით ან დაიცავით სამეზობლო მიჯნა.; მონიშნეთ კორექტირებით გამოწვეული ცვლილების ადგილები.; აივნების შემომფარგლავების აღნიშვნები მოიყვანეთ ფასადების ნახაზებთან შესაბამისობაში.

14. .შენობა-ნაგებობის ჭრილები, მასშტაბი 1:100. -> .ჭრილების pdf ფაილი.: ჭრილ(ებ)ზე დაიტანეთ კიბის მარშები, ასევე ლიფტის კარის ღიობი და მისი ზომები.

15. .შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.: ფასადებზე მოსაპირკეთებელი მასალის ფერები მიუთითეთ საერთაშორისო RGB ან RAL კოდების მიხედვით;

16. .შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა. -> .სიმაღლის განმსაზღვრელი სქემის pdf ფაილი.: მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემაში ნახაზები განაახლეთ კორექტირების შინაარსის გათვალისწინებით.

17. .კორექტირებული პროექტის ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). : მოსაპირკეთებელი მასალის ფერები მიუთითეთ საერთაშორისო RGB ან RAL კოდების მიხედვით;

18. .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : გაასწორეთ ხარვეზების მიხედვით.

19. .შენობა - ნაგებობის "სავიზიტო" სურათები. -> .სურათი 1.: .შენობა - ნაგებობის "სავიზიტო" სურათები. -> .სურათი 2.: .შენობა - ნაგებობის "სავიზიტო" სურათები. -> .სურათი 3.: გაასწორეთ ხარვეზების შესაბამისად

20. ნახაზებზე საკადასტრო საზღვრები დაიტანეთ დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში

წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.